საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2020

25.05.2021

www.geostat.ge

25.05.2021

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2020 წელი

შემოსავლები

2020 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1 194.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.5 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №1

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები



25.05.2021

2020 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 6.4 პროცენტით შემცირდა და 1 100.5 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 4.4 პროცენტით შემცირდა და 321.4 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2020 წელს, გასულ წელთან შედარებით, 2.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 86.8 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით, 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა ქალაქის ტიპის დასახლებებში 4.3 პროცენტით შემცირდა და 747.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 5.0 პროცენტით შემცირდა და 446.9 მილიონი ლარი შეადგინა.

2020 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში კვლავ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის წილი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 47.8 პროცენტი შეადგინა. ასევე 2.0 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი და 9.4 პროცენტს უტოლდება. ამასთან, პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 23.4 პროცენტი შეადგინა.

25.05.2021

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2020 წელს.

დიაგრამა №4

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2020 წელი



ხარჯები

2020 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1 127.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7.6 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები, 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №5

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 9.4 პროცენტით შემცირდა და 1 038.5 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 7.4 პროცენტით შემცირდა და 303.3 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №6



2020 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 70.1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 2011-2020 წლებში.

დიაგრამა №7

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური ხარჯების მოცულობა ქალაქის ტიპის დასახლებებში 6.5 პროცენტით შემცირდა და 714.4 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 9.4 პროცენტით შემცირდა და 412.9 მილიონი ლარი შეადგინა.

2020 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში კვლავ ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს და 42.1 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2020 წელს.

25.05.2021

დიაგრამა №8

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2020 წელი



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge